ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4522551

ნომერი: AR1682018

თარიღი : 17.05.2019

გაცემის თარიღი : 29.05.2019

გაცნობის თარიღი : 07.08.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 25;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეა უგულავა პ/ნ 62001014950
- სოხუმი ი.ჭავჭავაძის ქ. N 84

ორგანიზაცია:

- სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური კოდი: 205270053

აღსრულების საკითხი

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის (ვიცე-მერის) 2019 წლის 15 მაისის აღსრულების ფარგლებში დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2019 წლის 19 მარტს თამაზ ცხომელიძემ NAR1669067 განცხადებით მომართა სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა ქ. თბილისში ჭავჭავაძის გამზირი N25-ში მდებარე შპს ,,10 ლიდოსა“ და შპს ,,საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.14.14.012.005) შპს ,,10 ლიდოს“ კუთვნილი ფართის ფასადზე სარეკლამო აბრის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურება.

არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 22 მარტის N4427280 გადაწყვეტილებით თამაზ ცხომელიძეს უარი ეთქვა განცხადების დაკმაყოფილებაზე იმ საფუძვლით, რომ წარმოდგენილი განცხადებით მოთხოვნილი აბრის მოწყობა გათვალისწინებულია იმ ფასადის ფუნქციონირებისათვის, რომლის რეკონსტრუქციის სამუშაოები შეჩერებულია 2019 წლის 19 თებერვლის №3ბ/249-19 განჩინებით.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება, 2019 წლის 15 აპრილს ფუდმარტის დირექტორის ივანე კუტიბაშვილის მიერ გასაჩივრებული იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან N10/01191053684-01 ადმინისტრაციული საჩივრით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის (ვიცე-მერის) 2019 წლის 15 მაისის N577 ბრძანებით დაკმაყოფილდა ფუდმარტის დირექტორის ივანე კუტიბაშვილის ადმინისტრაციული საჩივრი, ბათილად იქნა ცნობილი 2019 წლის 22 მარტის N4427280 გადაწყვეტილება და სამსახურს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის (ვიცე-მერის) 2019 წლის 15 მაისის აღსრულების ფარგლებში დაწყებული იქნა ადმინისტრაციული წარმოება და 2019 წლის 23 მაისს მიღებული იქნა შუალედური N4513518 გადაწყვეტილება, რომლითაც მოთხოვნილ იქნა პოზიციის დაფიქსირება კერძოდ, შენობის ფასადზე აბრის განთავსება, ემსახურება თუ არა იმ ფართის ფუნქციონირებას, რომლის ფასადის სარეკონსტრუქციო სამუშაოებთან დაკავშირებით სამსახურის 2018 წლის 5 ნოემბრის №4248376 გადაწყვეტილებით შეთანხმებულია პირველი კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ხოლო 2019 წლის 8 იანვრის №4329783 გადაწყვეტილებით შეთანხმებულია ზემოაღნიშნული სამუშაოების კორექტირება და რომელთა მოქმედებაც შეჩერებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 19 თებერვლის განჩინებით (№3ბ/249-19) საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამადე.

2019 წლის 28 მაისის წარმოდგენილ იქნა სს ,,ფუდმარტის“ (ს/კ404460187) წარმომადგენლის თამაზ ცხომელიძის განმარტება, სადაც აღნიშნულია, რომ შენობის აბრის განთავსება არ არის კავშირში ფასადის იმ სარეკონსტრუქციო სამუშაოებთან, რომელიც შეთანხმებულია 2018 წლის 5 ნოემბრის №4248376 გადაწყვეტილებით და კორექტირებულია 2019 წლის 8 იანვრის №4329783 გადაწყვეტილებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 19 თებერვლის განჩინებით (საქმე №3ბ/249-19) შეჩერებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 5 ნოემბრის №4248376 და 2019 წლის 8 იანვრის №4329783 გადაწყვეტილებების მოქმედება, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამადე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 08 აპრილის განჩინებით (საქმე №3ბ/249-19) არ დაკმაყოფილდა შპს „10 ლიდო“-ს წარმომადგენლების შუამდგომლობა (განცხადება) ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 19 თებერვლის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა შუამდგომლობის ავტორების პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 5 ნოემბრის №4248376 და 2019 წლის 8 იანვრის №4329783 გადაწყვეტილებებით შეთანხმებული სამუშაოები დასრულებული იყო და შესაბამისად ზემოაღნიშნული აქტები - აღრსულებული. შესაბამისად, სამსამართლომ უცვლელად დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 19 თებერვლის განჩინება.

ამასთან აღსანიშნავია, რომ 01.14.14.012.005 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული აქტიური მონაცემების მიხედვით (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან) დგინდება, რომ შპს 10 ლიდოს საკუთრებას წარმოადგენს შენობა-ნაგებობა N3-ში, ფართი N1, I სართულზე - 301.52 კვ.მ. საჯარო რეესტრის ამონაწერით ასევე დგინდება, რომ 301.52 კვ.მ-იდან 113 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი, იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე (დამოწმების თარიღი

13/03/2019 საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო) გადაცემული აქვს სს ,,ფუდმარტს“. ამასთან, 2018 წლის 28 დეკემბრის NAR1652741 განცხადებაზე წარმოდგენილი ფოტომონტაჟით და მასზე მონიშნული საპროექტო ტერიტორიის არეალით დგინდება, რომ მოთხოვნილი სამშენებლო სამუშაოები, (შპს ,,10 ლიდოს“ კუთვნილი ფართის ფასადზე სარეკლამო აბრის მოწყობა) ემსახურება იმ ფართის ფუნქციონირებას, რომლის ფასადის სარეკონსტრუქციო სამუშაოებთან დაკავშირებით სამსახურის 2018 წლის 5 ნოემბრის №4248376 და 2019 წლის 8 იანვრის №4329783 გადაწყვეტილებების მოქმედება შეჩერებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 19 თებერვლის განჩინებით (საქმე №3ბ/249-19) საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციით (ფოტოსურათები, ფოტომონტაჟი) უტყუარად დგინდება, რომ სს ,,ფუდმარტის“ მიერ კომერციული მიზნების მისაღწევად, ხორციელდება შპს ,,10 ლიდოს“ კუთვნილი ფართის იმ ფასადის გამოყენება, რომელზეც სამშენებლო სამუშაოების წარმოება შეჩერებულია სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინებებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი განცხადება შპს ,,10 ლიდოს“ კუთვნილი ფართის ფასადზე სარეკლამო აბრის მოწყობასთან დაკავშირებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.